

1961


№ 16 თბილისი აპრილი 1961


ნიანგი

ბავოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.

ქვეყნული
ბიბლიოთეკა


დიდება, ვინც რომ ფარდა ახადა,
ვინაც შეაღო კოსმოსის კარი.
ვინც სინამდვილედ უკვე გახადა
ვეულა ოცნება, ვეულა ზღაპარი.





ნახ. ო. ჯიშკარიანის

— ძალი მიაკვდა სულში გოგია უიშვილის ძალს!
 — რას ერჩი, ბიჭო, რა დაგიშავა?
 — ქართულ ლიტერატურაში ყველაფერი ვუბასუხე გამომცემელს და ძალის სახელზე ჩამჭრა.



ქართული
ბიბლიოთეკა

ანლაზები

- ბულაჩაურო, ჩაურო, სა- და ხარ, ვედროშაურო.
- მალაზიას შტატი გაუდიდეს და მამაჩემმა — სარჩენი მომე- მატაო.
- წყალში წყალიც გაირევა, თუ სირობი დაილევაო.
- ათჯერ იყო კომისიამ, მაგ- რამ ბინა კვლავ ისეაო.
- ლექტორს მწვადი უყვარდა და მატრიკულეებში შამფურებს ხატავდაო.
- ყველა ჩიტი ხომ თავმჯლო- მარის სხვენზე ვერ დაიბუღებსო.

შეკრიბა გინამ


კაგიხსაეულო ნიანგო

იქნება ინებო ბახმაროზე ამოსვლა. აქ გრილა. მაგ- რამ უნდა გაგაფრთხილო: თუ წამოსვლას დააპირებ, ეცადე ხელბარგი არ წამოიღო. მახარაძიდან ავტო- ბუსით იმგზავრებ. ავტობუსების სადგურის მოლარეები გულ- დასმით შეგიმოწმებენ ნივთებს, თვითვეულ ფუთაზე ერთ სამგ- ზავრო ბილეთს მოგაჩვენებენ და ბახმაროზე ამოსვლა ძვირი დაგიჯდება. მეც ასე დამემართა. ორი პაწია ჩემოდანი მქონ- და, სამი ბილეთი მომიცეს. თურმე ნუ იტყვი, იმ ოჯახაშენე- ბულებს, ანგარიშიც არ სცოდნიათ, ბილეთი 1 მ. 25 კაპ. ღირს, მათ კი 1 მან. 35 კაპ. აიღეს. ბევრი ვიყვირე, მაგრამ ამაოდ. ავტობუსის მაგივრად სატვირთო ტაქსი შე- მოგვთავაზეს და ბახმაროზე ასვლისას საავადმყოფოებში მოსათავსებლებს დავემგვანეთ. თავსხმაში მანქანა ავტოსად- გურში გაჩერდა და იქამდე არ ინება სანატორიუმამდე წასვ- ლა, ვიდრე თითოეულმა მგზავრმა თითო მანეთი არ გადავუ- სადეთ. ავტოსადგურიდან სანატორიუმამდე კი სულ 2 კილო- მეტრია.

24 დღის შემდეგ, როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ავტო- ბუსის მძღოლმა ყოველ ჩემოდანზე მანეთის აღება მოინდომა ღმერთმა უშველოს, ერთმა ახალგაზრდამ გვიშველა, 30-30 კაპიკი მოაგროვა და ამით ჩააჩუმა მძღოლი, რომელიც გამწა- რებელი ყვიროდა: — მახარაძიდან უნდა მოდიოდეთ, იქაუ- რი მოლარეები კარვად გაგიმასპინძლებდნენო.

პატივცემულთ ნიანგო, თუ ბახმაროზე ასვალ, ხელბარგს უფრთხილდი, თორემ ანგარიშსწორების საკითხი შეგაწუ- ხებს.

დოდო ზუჯა



გასნო, ხარო, გასნო!

ერთ მშვენიერ დღეს ვტაცე ხელი ჩემოდანს და სოფელში გავემგზავრე. მატარებელი ზღაზუნით შევიდა სადგურ სამტ- რედიასი, იქიდან სადგურ მარანში 5 წუთში აღმოჩნდი. გა- გონიდან გადმოვედი თუ არა, ტრანსპორტის ძებნას შევეუდექი, მაგრამ ამაოდ დაფშვრი და სოფ. გაუწყინარისაკენ ფეხით დაგადექი გზას. დაღლილს ერთი დანჯორული ურემი დამე- წია. მეურმე სტუმართმოყვარე აღმოჩნდა და მეც და ჩემოდა- ნიც ერთად ურმის კოფოზე წამოგვასკუბა. ჯაყჯაყით გავია- რეთ ერთი კილომეტრი. პირუტყვები თითქოს მემდურებოდ- ნენ — ეს ურემიც გვეყოფნის ტვირთად და თქვენც რაღად მოგვემატეთო. სიბრაღულმა არ მომასვენა და ძირს ჩამოვ- ფოთნდი. ფეხით გავეუდექი გზას. მალე მსუბუქი მანქანაც გამოჩნდა. მძღოლს ვთხოვე დანიშნულ ადგილამდე მივეყვანე. მძღოლი გამოცდილი აღმოჩნდა, მაგრამ გამოცდილებამ ვერ გვიშველა და მანქანა ერთი ისე მაგრად ჩავარდა ორმოში, რომ, მეგონა, წელში გავწყვიდი-მეთქი.

დაღამდა, სოფელი წყველიდმა მოიცვა. ოთახებიდან ბუტყავდნენ ნავთის ლამპები. არემარეს მთვარის შუქი ანა- თებდა. ამ დროს მომიქსმა ურმის ჭრიალი. „გასწიე, ხარო, გასწიე“. ჭრუანტელმა დამიარა, მომაგონდა „საქართველოს ბულბული“ ვ. სარაჯიშვილი.

ხარი კი გასწევს, მაგრამ აქ ტქნიკა როდის გასწევს ნეტა- ვი?

ნეტავი როდის აღირსებენ ამ სოფელს სინათლეს, რა- დიოს, ბიბლიოთეკას და ადამიანურ გზას?

მ. ალანია



სწორედ მოქმედი

— თუ ქრისტემ წყალი დგინოდა აქცია, მე რა, განა მეც მესიად მოვლინებული ძე კაცისა არა ვართო — წამოიძახა ბორის მონინმა და, როცა ჩვენი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული ჰიტლერულ ბარბაროსებთან, ქალაქ სოხუმში წყალწყალა წყლით კვრდო ვაჭრობა გაჩაღდა. გადიოდა ხედივით წყალი, ყიდდა მონინი წყალს, უსქელდებოდა მონინს ჯიბე, ემატებოდა ათასი ათასი, მოდიოდა ჭამაში მადა, იღვიძებდა სულ უფრო და უფრო მეტის შეძენის დაუთლებელი სურვილი.

და თქვა მონინმა ბოლოს: — გამოწყალა ამ წყალ-წყალა წყლით ვაჭრობამ გული, წყალი ფულად გაქციე და ამით ქრისტეს სასწაულთმოქმედება დიხაყრომ მივაგვრათაღე, რაზეთუ ფული ყველაფრად შეიძლება აქციოს ადამიანმა, მაგრამ ახლა უფრო სარგებანი და უზომოელი საქმე უნდა მოვხაზო, რაღა მე ვაკეთო ფული. კეთილ ინების და დაე ფულმა თვითონ გააკეთოსო ფული.

თქმა და ასრულება ერთი იყო: დატყუა ფული მონინმა, დაუცაცხანა ძლიერ.

— რა დროს უსაქმოდ წოლდა, გეყთო მუთაქაში ნებართვა, ნაცტალინის სუნმა მიანიც არ მოგეუდათ, თქვე ასეთებო და ისეთებო, ადექით, განიძერით, იგომაინეთ, გადადით ხელიდან ხელში, ჩემო ლამაზებო, ვაორმაგდით, გაათმაგდით, გასმაგდით, ჩემო გვრინებო, ისარეთ და გამასარეთ ბერეიკაცი, იმთაგლეთ, ჩემო თვალისჩინებო. რამდენ კაცს გარდებით, ემატებოთ, მიდით, მიემეველეთ, გაჭირების ტალკვესად ექვეით, აბა, ჰე, თქვენ იცით, თუ მისახელებთ, მაღხაზებო! — და აი, თითქო თუმე უგრძნოთ, გაჭირებაში ჩავარდნილმა მისიელ ვფრემის ძე ვფრემამეილმა მორიდებით დააკაუნა მონინის კარზეზე და თავაზიან მასპინძელს შეევედრა:

— მიჭირს და ხელი მომიმართე, ვგრემც ხელი მოგიმართოს ღმერთმა, მასესხე ცხრა ათასი მანეთი.

— გასესხო? მერე მე რა?

— თქვენ პროცენტი!

— კეთილი, აი ცხრა ათასი მანეთი, ერთ თვეში ათი ათასს მომიტან, ოღონდ შენი დის სახლში ნებლობის (წერეთლის ქ. № 27) ნაწილი უნდა დამიგირავო 100 000 მანეთად, რომ მე გული საგულეს მქონდესო.

დაიდო შეთანხმება, გაიცა ფული, დაიხარჯა იგი საჩქართოდ და გავიდა ერთი თვე, პირველი საბედისწერო თვე, რამაც არივდარია ყველა დავთარი. ეს მოხდა 1946 წელს.

გერ დაუბრუნა ვფრემამეილმა მონინს ფული.

გაუხარდა მონინს. მიპყებოდა თვის თვე, ემატებოდა თანხას თანხა, ვფრემამეილი ყელამდე მფლობოდა ვალში, მონინი თანდათან ახვევდა ვფრემამეილს მევახშის რკინის ბადეში და გულში დემონურად ხითხითებდა.

ერთ წელიწადში 30 000 მანეთამდე გაიზარდა ვალი. ახლა უკვე ათი პროცენტი არ იკმარა მონინმა, 15 პროცენტი მოითხოვა კლანტეში მომწყვდული მსხვერპლისაგან.

იცადა მონინმა, იცადა, იცადა და, როცა ვალი საქმაოდ მომრგვალებულ თანხამდე გაიზარდა, ვფრემამეილის დის სახლში ნებლობის დაგირავებული ნაწილის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მოითხოვა ულაპარაკოდ.

დაენანა ვფრემამეილს დის ქონება და მისი სახლმშენებლობის ნაცვლად რუსთაველის ქ. № 12-ში მდებარე საკუთარი სახლი შესთავაზა მონინს გიროდ, 300 000 მანეთად დააგირავა სახლი, ფულის რეფორმის შემდეგ 135 ათასამდე დაიყვანეს ეს თანხა გულმოწყალედ.

ვფრემამეილმა დააშავა რაღაც და პატიმრობა დაიმსახურა მონინი მიდგა ვფრემამეილის ოჯახს და მუქარის ქვეშ ვფრემამეილის მიუღლეს დაგირავებინა თავისი ნათესავის რიგა იზრავლაშვილის სახლი (წერეთლის ქ. № 27).

მონინმა ვფრემამეილის ძმას ბენსიონ ვფრემამეილსაც ასესხა 15 ათასი მანეთი და მისაც მოსდო მევახშის ყოვლისმომცველი ბადე. მოკლე ხანში 100 000 მანეთამდე აიყვანა ეს თანხა და დააგირავებინა სახლი მდებარე წერეთლის ქ. № 17-ში.

1951 წელს მონინს დროებით ჩაუვარდა კოფში ნაცარში აფხაზეთის საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა მსჯავრი დადეს აღვირახსნილ მევახშეს და სამი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სა-

მართლის სასამართლო კოლეგიამ გ. კვრესელიძის თავმჯდომარეობით — 2 წლის შემდეგ — 1953 წლის 26/XI-ის სხდომაზე განიხილა მონინის საქმე და სოხუმის სახალხო სასამართლოს განაჩენი და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს დადგენილება უსაფუძვლად მიიჩნია. ესაო და „გამომდინარე ყოველივე ზემო თქმულიდან, სასამართლო კოლეგია თელის, რომ მონინი ნამდვილად აძლევდა სესხად ძმებ ვფრემამეილებს დიდძალ თანხებს, და იღებდა პროცენტებს, მაგრამ, ამასთანავე, მიარჩია, რომ სულაც არაა დადგენილი, გადააჭარბა თუ არა მონინმა პროცენტების განსაზღვრულ ნორმას ვფრემამეილებზე გასესხებულ თანხაზე პროცენტების აღების დროს“.

ამის საფუძველზე გაუქმებულ იქნა სოხუმის სასამართლოს განაჩენი და აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე წარმოებით მოისპო.

მაგრამ, განა ეს იყო საქმე? საკითხავია. თუ დაუდგენლად უნდა ჩათვლილიყო ის დადგენილი ფაქტი, რომ ვფრემამეილისთვის მისესხებული თანხიდან მევახშე მონინი პროცენტების აღებისას ყოველგვარ ნორმასა და ზომას აჭარბებდა, კი არ უნდა მოესპო საქმე, არამედ უნდა გადაეცათ იგი სათანადო ორგანოებისათვის დამატებითი ძიების ჩასატარებლად.

განა აღმამყოთებელი არ არის ის გარემოება, რომ დაუსჯელი დარჩა მონინი, რომელიც წლობით ეწყოთა მევახშეობას, წურბელასავით წოვდა სისხლს მის ხელში ჩავარდნილ ადამიანებს და ასეთი უსინდისო გზით შეიძინა დიდძალი ქონება.

კიდევ უფრო აღმამყოთებელი არ არის ის ამბავი, რომ ასეთ გარეწარს ხელი დააფრეს და ამის შედეგად ოთხი ოჯახი უსახლკართოდ დარჩა?

ასე უსაფუძვლოდ და ასე გაუმართლებლად გაამართლეს თავგასული მევახშე, ხოლო რამდენიმე ოჯახი უსახლკართოდ დატოვეს.

1959 წელს მონინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი „სასახელო“ საქმეების გაგრძელება მისმა ქვრივმა, იღბლიანმა მეშვიდებრემ, მარიამ აზარის ასულმა მონინამ იკისრა რუსთაველის ქ. № 12-ში მდებარე მ. ვფრემამეილის 14 ოთახისაგან შემდგარი სახლი თვითონ დაიმტკიცა. ოთახების ნაწილი გაუფორმა თავის შვილიშვილებს, რომლებიც ცხოვრობენ ქუჩიბინევიში, კრასნოიარსკში, ფრუნზესა და ტაშკენტში, მაგრამ სოხუმში თავის დღემდე არ უცხოვრიათ.

წერეთლის ქუჩაზე მდებარე სახლი დის სახელზე გააფორმა, ხოლო ფრუნზეს ქუჩაზე მდებარე საკუთარი სახლი გაყიდულად გაასაღა (თუმცა სახლის ნამდვილ პატრონად თვითონ ითვლებოდა და შემოსავალსაც არხეინად იჩრიალებდა ჯიბეში).

მარიამ მონინას რუსთაველის ქუჩაზე გახსნილი აქვს კვრდო სასტუმრო, სადაც ყოველდღიურად 20-25 სტუმარი ჰყავს და კულტურულად აძრობს ტყავს.


მონინი აღარ არის, მაგრამ მონინის დაწყებული ბნელი საქმეები ისევ გრძელდება, მის მიერ თერთად გასაღებული შავი ისევ თერთად საღდება, მისი ბნელი საქმეები ისევ ძალაშია და შეუძლებელია არ ვიფიქროთ, რომ ყველაფერ ამას უსათუოდ ჰყავს მსარდამჭერნი და გულშემატკივრები, რომლებიც მონინას ხელს უწყობენ, ეხმარებიან პირწავარდნილ მევახშეს საბჭოთა მოქალაქეების გაყვლეფაში.

ვინ არიან ისინი?

ამის დადგენას საქ. სს რესპუბლიკის პროკურორსა და საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ვანდობთ.

ი. პერახიძე

სოხუმის მილიციის ქალაქის განყოფილების სააგენტოში ავტომანქანამ (მძღოლი ნოდარ კოპალიანი, მანქანის № გრა 56-10), რომელიდანაც ხშირად მოუწოდებდნენ მოქალაქეებსა და მძღოლებს დაცვათ მოძრაობის წესები, ივლისის თვეში თვით დაარღვია უხეშად მოძრაობის წესები, დეეჯახა მსუბუქ ავტომანქანას და მიიმედა დააშავა რამდენიმე მოქალაქე



პრაქტიკული გაკვეთილი — მოძრაობის წესები და მისი დარღვევის შედეგები.

— ზაურს გაუმარჯოს, ზაურს! — ასეთი შეძახილითა და აურზაურით შეხედნენ ჩემს გამოჩენას რესტორანში ნაცნობ-მეგობრები და, სანამ მდგომარეობაში გარკვევას მოვასწრებდი, ღვინით საგსე ყანწი მომაჩერეს ხელში. ვატყობდი, დღესაც უსადილოდ მომიწევდა დათრობა და ვნის ბორძიკით ამოვილულე: — მეგობრებო, მე, თქვენ, ჩვენ, დღეს, საუზმე... სადილი... — უთავბოლოდ დაწყებული სიტყვა ერთმა ახალგაზრდამ შემაწყვეტინა.

— აბა, ბიძიკო, ჩვენი ვაჟკაცების სადღეგრძელო შესვი, სადილს და ვახშამს შემდეგაც მოესწრები!

დიდი გაჭირვებით დავცალე სასმისი და ასევე გაჭირვებით დავუსხლტი ხელიდან სიმთვრალისაგან გაჭირვებულ ნაცნობებს.

თავისუფალი მაგიდის ძებნაში ვიყავი გართული, როცა ნაბახუსევი ხმა შემომესმა: — ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! ზაურს გაუმარჯოს! — გაოცებულმა თვალები დავაჭყიტე და გაკვირვებით შემსწავლავ ჩემსკენ მომავალ მოქალაქეს. ეს კაცი სადღაც მინახავს, მაგრამ ვერ მომიგონებია. ნაცნობი ბარბაცით მოვიდა ჩემთან, გადამეხვია და მანამდე მკოცნა, სანამ ჩემს სახეზე არ შეიწმინდა დორბლიანი ტუჩები. თითქმის ძალით მიმართია მაგიდასთან და მომაგონა, თუ როგორ დავძმობილდით ხუთი წლის წინათ, მატარებლით მგზავრობის დროს. ჩვენი მეგობრობის განახლება მოზრდილი სასმისით აღინიშნა, შემდეგ კი ჩემი ნაცნობის საშუალებით შეძენილმა ახალმა ნაცნობებმა მანამდე არ გამომიშვეს, სანამ ორი ჩაის ჭიქა არ დავაყუდე თავდაღმა.

თავი სამშვიდობოს მეგონა გასული, რომ



კვლავ მომესმა: — ამას ვის ვხედავ! ზაური ხარ, ბიჭო, შენ?! — ეს უკვე ჩემი შეზობელი ნესტორი აღმოჩნდა. მასაც აგარაკზე ჰყავს გაგზავნილი ცოლ-შვილი და ახლა ჩემსავით რესტორანში სადილობს და ვახშმობს. მეზობლის სიყვარულით სამი ჩაის ჭიქა გამოვცალე ფეხზე დამდგარმა და ფეხიც ამერია.

როცა თავისუფალ მაგიდაზე მივადწიე, უკვე ქორწილიდან დაბრუნებული მაყარივით ვიყავი მთვრალი. ტალღებზე მოქანავე კატერის მდგომარეობაში რომ მნახა, ოფიციალტმა ჩემი შეკვეთა არც კი მოისმინა და ჭკუის დარიგება დამიწყო:

— წადი, ბიძია, სახლში! შენ ახლა ისე ხარ გახეთქილი, აღარც ჭამა გინდა და აღარც სმა. სანამდე ყურებიდან არ გადმოგივა ღვინო, მანამდე არ გინდა დაანებო თავი სმას?! —

შეკამათების თავი აღარ მქონდა და ბარბაცით დავტოვე რესტორანი. მეგობრების წყალობით დღესაც მშრალი ულუფით მომიხდა დაკმაყოფილება.

ამ რამდენიმე დღეში თბილისის ყველა რესტორანი შემოვიარე, ბეთანასა და სოღანლულსაც მივაკითხე. ვეძებდი ისეთ ადგილს, რომ ნაცნობები არ შემხედროდნენ, მაგრამ ამაოდ დავშვრი. ერთხელ სამსახურიდან ადრეც წამოვედი, ვიფიქრე ამ შუადღისას ვინ იქნება რესტორანში-თქვა, მაგრამ მწარედ მოგტყუვდი. როგორც ჩანს, ზოგიერთებისათვის არ არსებობს სამსახურის რეჟიმი და, როცა მოეხასიათებათ, მაშინ მიდიან საქეფოდ რესტორანში.

ამას წინათ ლისის ტბაზეც ავედი და იქაურ რესტორანს მივაკითხე ჯერ „კაბინეტები“ შემოვიარე (ასე ეძახიან იქ რესტორნის გარშემო სპეციალურად გაკეთებულ პატარა ოთახებს, რომლებსაც, ვენტილაციის მიზნით, ფანჯრის მიწები ყოველთვის ჩამტვრეული აქვთ) და, სანამ ბოლომდე გავიდოდი, მე უკვე ბოლო მომიღო უეცრად აღმოჩენილი ნაცნობების ხათრით დაცლილმა ჩაის ჭიქებმა.

ორი კვირა გავიდა, რაც მარტოხელა კაცის ცხოვრებას ვეწევი და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ მოვსულვარ ფხიზელი სახლში. ვინ იცის, ზოგიერთი ჭორიკანა მეზობელი რას არ ლაპარაკობს და, ალბათ, სიხარულით ელოდება აგარაკიდან ჩემი მეუღლის დაბრუნებას, რომ სრული სახით წარუდგინოს ეუზოში მოხხდარი ამბების ანგარიში.

ცუდი არ არის, როცა მეგობარი მეგობარს უმასპინძლდება, მაგრამ, რესტორანში შემოსულ კაცს რომ საჭმლის ჭამის საშუალებას არ მისცემ და ცარიელი ტიკივით მარტო ღვინით გაბერავ, ეს, თუ მეტი არა, უცნაური გამასპინძლებაა.

ნ. ნუპრიძე

ნან. ნ. მაღალაშვილი



— მოქალაქე, ქუჩაზე რომ გადადიხარ, ქვეშიდან გადიო!
— როგორ?! ვაჟკაცი კაცი ქვეშიდან გამოვიდე?!

პინოქლი

ბარბი გამოგონება

— ამბობენ, მალე ისეთ კიბერნეტიკულ მანქანას გააკეთებენ, რომელიც ადამიანის მაგივრად იფიქრებსო.
— ნეტავი მალე მომისწრებდეს... თორემ მომკლა ცოლის შერთვაზე ანდენმა ფიქრმა.

სიწუხტა

— წლინახევრის წინათ თქვენთან კომიტეტში ტექნიკური წინადადება შემოვიტანე. პასუხი კანონით თვენახევარში უნდა მიმეღო... ამდენი ხანი ისე დავდივარ...

— რატომ იცით ასე გაზვიადება, ამხანაგო... რომელი წელიწადნახევარი... ჯერ ხომ წელიწადი და ხუთი თვე გავიდა!

— შეიძლება ერთი თვე მეტი ვთქვი...
— მერე, შე კაცო, ერთი თვე არაფერია?! თვეში ჩვენ ორჯერ ვიღებთ ხელფასს...

ავტობუსში

— მოქალაქე, ბილეთს რატომ არ იღებთ? სინდისი არა გაქვთ?

— ჰაი-ჰაი, რომ მაქვს... მაგრამ 5 კაპიკისათვის როგორ დავასურდავო!..

ა. ბასილაია

სოღანლულელი ქორვაჭრები

იცით თუ არა თქვენ, რომ, აქვე, სოღანლულში, ფართო გზის პირად მოთავსებულ სასადილოში, დაბინავებულან ქორვაჭრები.

იცით თუ არა თქვენ, რომ ამ „გაქცევებს“ ერვანდა სარუმოვი ხელმძღვანელობს და მას სასადილოს გამგე ჰქვია სახელად. მებუფეტელ მიხეილ გლოველია გაპირთვებული, ხოლო მიმტანებად — კაკო გაგნიძე და შაქრო მაისურაძე?

იქნებ არ იცით, რომ ამ ფართო გაქანების „მოლგაწეებს“ გაქთათებელი წინსაფრები უქეთით, თეთრ-თეთრი ჩაჩები ახურავთ თავზე და, ცივი და ცხელი იარაღების ნაცვლად, ცივი და ცხელი კერძები ცქეთ მომარჯვებელი, დამზარების მაგივრად, საინგარიშოებს ატრიალებენ და გამგელ-გამომგვლელებს ყოველგვარი მუქარის გარეშე აძრობენ ტყავს.

თქვენ იცით თუ არა, ეს ჩვენ აღარ ვიცით, მაგრამ ჩვენ კი გავგებთ და აი, ერთ შებინდების ტყავს, სწორედ ამ სასადილოში ამოყვავით თავი.

- მობრძანდით!
- რით გასიამოვნოთ?
- რას მიირთმევთ?
- თავაზიანად შემოგვეგებნენ პურადი მასპინძლები.
- ცხელ-ცხელი ანეგტოდებისა და კერძების შემდეგ ანგარიში მოვითხოვეთ.
- ორმოცდაათი მანეთი! — ციმციმ გვიპასუხა კაკო გაგნიძემ და თანაც უმანკოდ და მიამიტურად გაგვიღიმა.
- კაკო, ზომ არ გეშლება?

ეს კითხვა იმიტომ მივეცი, რომ მანამდე, სულ სამიოდე დღის წინათ, მისმა კოლეგამ, ვინმე კრიხელმა, არითმეტიკის სრული არცოდნა გამოამჟღავნა და 40 მანეთის ღირებები და ულუფები, 90 მანეთად გაასაღა (სხვათა შორის, ამბობენ, ამ ქორვაჭრებმა კრიხელი თავიანთი ჭკუდიდან გამოიციხეს, რამეთუ ნაძარცვსა და ნადავლს სხვებს ნაყლებად უყოფდა, თვითონ იჯიბდავლი რას იზამთ, ასეთი პროფესიის ხალხს ერთმან-

ნეთი ეჯავრება: ქორვაჭრები ქორვაჭარს ვერ ითმენენ).

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, არითმეტიკაში ხუთი მყავდა მუღამ.

— ამა ქალღღებ იანგარიშზე არ მოეწონა გაგნიძეს, რომ იმ გაგანი სიტყვი ანგარიშში უნდა ჩაებარებინა გამოცდა. სასადილოში განგაში გამოცხადდა.

სასწრაფოდ მონახულ იქნა ეზოში, შთვარის სინათლეზე, მოსიერზე გამგე ერვანდა სარუმოვი. გამგემ მზარეულის, მებუფეტის, მიმტანებისა და ტექნიკური პერსონალისაგან შემდგარი კონსალიუმი მოიწვია და ყალბად დანადგლიანებულმა წარმოთქვა: — ეს რაუბნდება ჩემსა!

კონსალიუმი ერთსაათიანი მუშაობის შემდეგ ყალბი ანგარიში გამოაცხა: 44 მანეთის ნაცვლად 33 მ. და 46 კაპ., მაგრამ აქაც:

ერთი ულუფა ლობიო ოთხად იანგარიშეს, ოთხი ცალი ატამი — ორ კილოგრამად, 7 ბოთლი ღვინო — ათ ბოთლად, 1 ულუფა დანდურა — ათ ულუფად, 2 ცალი კიტრი — ერთ კილოგრამად, 4 ცალი წიწყა — ოთხ ულუფად და ა. შ. და ასე და ამგვარად...

შემდეგ კი ყმაწვილურად გულუბრყვილო სახე მიიღეს, მამა-პაპათა საფლავები იფიცეს, ანგარიში შემთხვევით თუ გვეშლება, თორემ, ისე, მამა აბრამის ბატონები ვართო.

მოქვიფნო და მოსიდილენო, იცით თუ არა თქვენ, რომ ცხვრის მწვადი 63 კაპ. ღირებულა, ღვინო ნომერი 8 (750 გრ.) — 99 კაპ., სამგორული მწვადი — 40 კაპ., ჩახობილი — 78კაპ., შემწვარი ვარია (175 გრ.) — 91 კაპ.

სოღანლულელმა ქორვაჭრებმა ჩვენს წინაშე პილატეს ცრემლებიც კი დაღვარეს, მაგრამ, მოქვიფნო და მოსიდილენო, თქვენს დაცარიელებულ ჯიბებს ეტყობოდა მალამოდ დაედება?

გამიჯვინი

ერთმანეთი ბიზლირთქვა



საქმისტო ხუმრობა
ნან. ლ. როგნიანი 781
2/17

უახმოვანილი კოიანი

უნიციდენტოდ ვუძლოდი ოჯახის პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმიანობას, მაგრამ ერთ მშენიერ დღეს მიუღლი ძალუფლება ჩემი ცოლის — მარგალიტას ხელში აღმოჩნდა. ჩვენი ათი წლის ტიტიკო, რომელიც პირწავარდნილი ანარქისტი იყო, დედამისის მითითებით, წლების მანძილზე ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას ჩემი, როგორც ოჯახის უფროსის, ავტორიტეტის შესადასავად. სამუშაოდან დაბრუნებულს წშირად მომმართავდა:

- მამ, რატომ გაქვს დიდი ყურები?
- მამ, შენ ნადირი ხარ?
- მართლა ჟირაფი ხარ, ტო!

საკმარისი იყო ამ კითხვების პასუხად მეცადა, ოდნავ მაინც დამეგრძელებინა ყურები ცნობისმოყვარე ბიჭისათვის, რომ დედამისი კლანჭებს მარგალიტას, რაც ნიშნავდა: „ხელემი შორს ტიტიკასაგან“

მარგალიტამ, მიუხედავად იმისა, რომ პროვინციაში იყო აღზრდილი, ძალუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, ბრწყინვალედ გადაჭრა საოჯახო მიწყობილობის თანამედროვე ყაიდაზე რეკონსტრუქციის პრობლემა. ამ დონისიებებს თავდაპირველად დედაჩემისეული კედლის ნიხი შეეწირა, შემდეგ ბუფეტი, რკინის საწოლები. მათ ადგილას გაჩნდა გობელენები, გარდერობი, სერვანტი და ამისთანები. ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი დეფიციტური გახდა. ამას თან ერთვოდა ტიტიკის მოკრძალებული ყოველდღიური მოთხოვნა.

- მამ! გროშები დაყაჭვი!
- რად გინდა, ბიჭო?
- იმპორტნი კინო გადის.
- სიპიტო! — მომმართა ერთ სადამოს ცოლმა.
- რა გინდა, ქალო?
- ათასი მანეთი უნდა იშოვნო ამ კვირისთვის.
- ა! — დავადე პირი შეშინებულმა.
- რა „ა“ და „უ“ აგიტყდა, შე უდღეურო!

ის იყო, რაღაცის თქმა დავაპირე, რომ ოთახში ტიტიკი შემოვარდა სტენით და სიმღერით — „სე სი ბო, შენ სიმონ“.

— სად ხედავ, ბიჭო, სიმონას? — ვუღრიალე ცოლზე გაცეცხლებულმა.



— იმპორტნია, მამ! — წამოისროლა ტიტიკი და მთელი ძალღონით განაგრძო „სე სი ბო“.

— იმდერე, დედა გენაცვალოს, მუსიკალურ ნიჭში ვაი: ამ კვირისთვის ან რთილი უნდა შედგას აქ, ან მამაშენის კუბო! — დაიქადა მარგალიტამ და მაშინ მივხვდი, რაში სტირდებოდა 1000 მანეთი ჯერი რომ არჩევანზე მიდგა, მაშინ გადავწყვიტე რთილი უფრო დამეშვენებს ოთახს, ვიდრე ჩემი კუბო-მეთქი და კვირა დღით საკომისიო მალაშიიდან ავტომანქანამ სამი მუშის თანხლებით 1200-მანეთიანი რთილი დასძრა ჩემი სახლის მისამართით.

სახლში გვიან დავბრუნდი. მოგვიოდი გამარჯვებულის სახით, თვალდაუჭულმა შევადე ოთახის კარი და დავინახე გულხელდაკრეფილი ტირისუფლის სახით მჯდომარე მარგალიტა, მის წინ იდგა... არა, კუბო, არამედ ნამდვილი რთილი, შავად მზინავი რთილი.

- არ დამენახო თვალით, შე ქვეყნის მასხარაე! — მიყვირა მარგალიტამ.
- რა გინდა, ქალო, ჩემგან?
- სად არის ფეხი ერთი ფეხი?
- არაფერი მესმოდ, ის კი დავინახე, რომ მარგალიტას ორი ფეხი ჰქონდა, მეც ორი, სულ ოთხი.
- მამ ფეხმოტეხილი რთილი შეგაპარეს, შე გლახაკო! სადაა მეოთხე ფეხი?
- შეგხედე და, პოი საშინელებაც! სად იყო მეოთხე ფეხი?
- არც ესმის რას ყიდულობს! ღმერთო, რაში გადაყარა ამდენი ფული? — კვლავ შეიცხადა მარგალიტამ.
- მართლაც რომ არ მესმის! მამ, სამყება რთილი!

პა. ვუხურაძე



უტექსტო ხუმრობა

რედაქტორი ნ. შველიძე. | სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, | საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.

ბელმოწ. დასაბ. 21/VIII-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1459, უფ. 02820 ტირაჟი 40000



ღრმადება წინააღმდეგობანი მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. მე
მსოფლიო ომში დამარცხებული იმპერიალისტური სახელმწიფოების ეკონომიკის აღდგენა იწ
იმპერიალისტური მეტოქეობისა და კონფლიქტების ძველი კვანძების აღორძინებას და ახ
კვანძების წარმოშობას. განსაკუთრებით მწვავედება ინგლის-ამერიკის, ამერიკა-საფრანგეთის, ს
რანგეთ-გერმანიის, ამერიკა-გერმანიის, ინგლის-გერმანიის, იაპონია-ამერიკის წინააღმდეგობ
აგრეთვე მწვავედება სხვა წინააღმდეგობანი. გარდუვალად წარმოიშობა და გაღრმავდება ახ
წინააღმდეგობანი იმპერიალიზმის ბანაკში.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან).



„იდილია“ მებოქეთა ბანაკში.